უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 41

2015 წ. "14" 12

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204577582) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 14 დეკემბრის №12 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4.უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მანანა მიქაბერიძე

მდივანი
ანანო გიორგაძე

დანართი

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. ფარმაცია; 2. ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია; 3. საზოგადოებრივი ჯანდაცვა; 4. ფსიქოლოგია; 5. საექთნო საქმე.	1. ფარმაციის ბაკალავრი; 2. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი; 3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაკალავრი; 4. ფსიქოლოგიის ბაკალავრი; 5. საექთნო საქმის ბაკალავრი.
მაგისტრატურა	1. თურქეთისმცოდნეობა 2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ჯანდაცვის პოლიტიკა, ბიოეთიკა; 3. ბიოფარმაცია; 4. ფარმაციის მენეჯმენტი.	1. თურქეთისმცოდნეობის მაგისტრი; 2. მაგისტრი საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და ჯანდაცვის პოლიტიკაში; 3. ბიოფარმაციის მაგისტრი; 4. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (ფარმაციის მენეჯმენტი).
დოქტორანტურა	მცენარეული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები ფარმაციაში	ფარმაციის დოქტორი